2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

ა ნ გ ა რ ი შ ი

შინაარსი 3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო 4

საარჩევნო კანონმდებლობა 4

საარჩევნო ადმინისტრაცია 4

საარჩევნო სუბიექტები 5

ამომრჩეველთა სია 6

არჩევნების მონიტორინგი და მედია 7

არჩევნების დღე 8

საჩივრების განხილვა 8

არჩევნების შედეგების დამუშავება..... 9

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა ……..... 9

უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები 23

შესავალი

საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №27/08/01 განკარგულებით 2024 წლის 26 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები.

2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის არჩევნების პარალელურად გაიმართა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშს, უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაწერილ იქნა წინასაარჩევნო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, ამომრჩევლის მეტ ინფორმირებასა და ჩართულ მხარეთა შესაძლებლობების განვითარებას.

პირველად საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა რაც საარჩევნო ადმინისტრაციის გამოწვევა იყო და ის წარმატებით განხორციელდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი 317 საარჩევნო უბნიდან ელექტრონული კენჭისყრა გაიმართა 251 უბანზე, ხოლო ტრადიციული მეთოდით 66 საარჩევნო უბანზე.

საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ საარჩევნო პროცესის მაღალ დონეზე ადმინისტრირება ამომრჩევლის მხრიდან საარჩევნო პროცესისადმი ნდობის წინაპირობაა. სამართლიანი და თავისუფალი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების და პრინციპების შესაბამისად კი დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, უმაღლესი საარჩევნო კომისია საჭირო ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოფს დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარებას და საარჩევნო გარემოს შეუქცევად გაუმჯობესებას.

როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად წარუძღვა. უმაღლესი საარჩევნო კომისია მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ეფექტურად და გამჭვირვალედ მოქმედებდა. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 21 დეპუტატისაგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მაინც.

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) დადგენილებები ქმნიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობას.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ადგენს, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საარჩევნო დავის განხილვისა და პასუხისმგებლობის დაკისრების წესს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:
ა) უსკოსა და მისი აპარატისგან;
ბ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
გ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

უსკო შედგება თავმჯდომარისა და 7 წევრისაგან, ხოლო საარჩევნო პერიოდში ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული დროებითი წევრებისაგან. საარჩევნო პერიოდში

პარტიების მიერ უსკოს დროებითი წევრების დანიშვნის, მათი რაოდენობისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პარტიის გადაწყვეტილება უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის განმავლობაში. უსკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით, გარდა კანონით განსაზღვრული წესით პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისა, რომელთა უფლებამოსილების ვადაც განისაზღვრება არჩევნების დანიშვნიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით, ხოლო ხელახალი არჩევნების შემთხვევაში კი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით. უსკოს თავმჯდომარეს/არჩეულ წევრს უფლებამოსილება უწყდება კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უსკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი. უსკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. უსკოს თავმჯდომარესა და 7 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებისას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარება უსკოს.

ვინაიდან, 2024 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებდნენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო სუბიექტები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში – პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 14

მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რეგისტრაცია გაიარა 14-ვე პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

რეგისტრირებული 14 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებიდან 3 პოლიტიკურ გაერთიანებას გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია, პარტიული სიის არ წარმოდგენის გამო.

<u>არჩევნებში მონაწილე პარტიები:</u>

1. „ევროპელი დემოკრატები“
2. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი’“
3. ტრიბუნა
4. „გირჩი“
5. „გახარია საქართველოსთვის“
6. თავისუფალი საქართველო
7. ქართული ოცნება
8. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“
9. კოალიცია ცვლილებებისთვის - გვარამია მელია გირჩი დროა
10. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“
11. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“

ამომრჩეველთა სია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთიანი სია არის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება არჩევნების თარიღის გამოცხადებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილების განხორციელება ხდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით.

არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5

დღისა ცესკო უსკოს გადასცემს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას. უსკო თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში.

ვინაიდან, 2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული საერთო არჩევნებისათვის ფორმირებული ამომრჩეველთა ერთიანი სია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, წარმოადგენდა უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიან სიას.

არჩევნების მონიტორინგი და მედია

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

ვინაიდან, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვებისათვის, თუ ისინი რეგისტრირებული იყვნენ ცესკოში, დამატებით უსკოში რეგისტრაცია არ სჭირდებოდათ. შესაბამისად, ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს ჰქონდათ უფლება დაკვირვება განეხორციელებინათ, როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე, ხოლო თუ ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ექნებოდათ სურვილი დაკვირვება უშუალოდ უსკოში განეხორციელებინათ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, მათ უფლება ჰქონდათ განცხადებით მოემართათ უსკოს მდივნისათვის დამკვირვებლების უსკოში დანიშვნის შესახებ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) წარმოება და საინფორმაციო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ დადგენილი წესითა და დადგენილი ვადებით.

<u>რებრენდინგი</u> რებრენდინგის ფარგლებში მოეწყო უსკოს ადმინისტრაციული შენობა, დამზადდა უსკოს ახალი ლოგო და აბრა, განახლდა უსკოს საბრიფინგე კუთხე.

წინასაარჩევნო პროცესი - საზოგადოების ინფორმირების მიზნით უსკომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია განახორციელა. მომზადდა საინფორმაციო ტიპის ვიდეო რგოლები, რომლებიც განთავსდა ტელევიზიებსა და სოციალურ პლატფორმებზე, ასევე დამზადდა საინფორმაციო ფლაერები ამომრჩეველთათვის, საინფორმაციო რეკლამები განთავსდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიასა და რადიოში, კერძო ტელეკომპანია „TV-25"-ზე, ბათუმი TV-ზე და ევრონიუსზე, რადიო აჭარაში და რადიო ბათუმში, ასევე უსკოს საინფორმაციო ბანერები განთავსდა უსკოს და ონლაინ გამოცემების ვებ-გვერდებზე.

არჩევნების დღე

06:45 საათზე გაიხსნა ყველა საარჩევნო უბანი, ხოლო 08:00 საათზე შეუფერხებლად დაიწყო კენჭისყრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო ოლქში შემავალ 317 საარჩევნო უბანზე. ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა კანონმდებლობით დადენილი წესით 20:00 საათზე. არჩევნები მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩევლებს მიეცათ სრული შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი ნება თავისუფლად და შეუფერხებლად, რაიმე სახის გართულებებს ან შეფერხებებს ადგილი არ ჰქონია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას. კერძოდ, კენჭისყრის დღეს გაიმართა ბრიფინგი 08:30, 10:30, 12:30, 15:30, 17:30 და 20:30 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ, საზოგადოებას მიაწოდა სრული ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ, ხოლო 22:00 საათზე უსკოს თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი ბრიფინგი და საზოგადოებას გააცნო 2024 წლის 26 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა, მიაწოდა ინფორმაცია კენჭისყრის მიმდინარეობისა და საჩივრების რაოდენობის შესახებ.

საჩივრების განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში საარჩევნო კომისიებში შემოვიდა 200-მდე განცხადება და საჩივარი.

საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ადმინისტრაციაში შემოსული ყველა განცხადება და საჩივარი, განხილვის პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს საჩივრების ელექტრონული რეესტრის მეშვეობით, შეეძლო მიეღო (გასცნობოდა) ნებისმიერი ინფორმაცია.

არჩევნების შედეგების დამუშავება

არჩევნების შედეგების დამუშავებისათვის უსკოს მიერ აიწყო და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, გაიმართა სერვერები, როგორც შედეგების გვერდისათვის, ასევე მონაცემთა ბაზებისათვის, შეიქმნა გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფა და გატარდა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალეობას და საჯაროობას.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა

საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი

საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაცია

2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 14-მა მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ:

№	სახელწოდება
1	მპგ „კი ევროპას სტრატეგია აღმაშენებელი“
2	მპგ „ტრიბუნა“
3	მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
4	მპგ „გახარია საქართველოსთვის“
5	მპგ „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ გირჩი
6	მპგ „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“
7	მპგ „კოალიცია ცვლილებებისთვის - გვარამია მელია გირჩი დროა“
8	მპგ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“
9	მპგ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“
10	მპგ „სამართლიანობისთვის“
11	მპგ „თავისუფალი საქართველო“
12	მპგ „საქართველო“
13	მპგ „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“
14	მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

დოკუმენტაციის პირველადი შემოწმების (განცხადების, წესდების, რეგისტრაციის მოწმობის შესაბამისობის დადგენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან) შემდგომ მომზადდა 18 დასკვნა, რომელთაგან ერთი პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელს გაეგზავნა ხარვეზის წერილი. შესწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინა კანონით დადგენილ ვადაში.

საბოლოოდ რეგისტრაციაში გატარდა 14-ვე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება.

რეგისტრირებული 14 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებიდან სამ პოლიტიკურ გაერთიანებას **(„კი ევროპას სტრატეგია აღმაშენებელი“, „საქართველო“ და „სამართლიანობისთვის“)** გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია პარტიული სიების კანონით დადგენილ ვადაში არ წარმოდგენის გამო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 11-მა საარჩევნო სუბიექტმა:

№	**საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება**
1	„ევროპელი დემოკრატები“
2	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი’“
3	ტრიბუნა
4	„გირჩი“
5	„გახარია საქართველოსთვის“
6	თავისუფალი საქართველო
7	ქართული ოცნება
8	„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“
9	კოალიცია ცვლილებებისთვის - გვარამია მელია გირჩი დროა
10	„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“
11	„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილ პარტიულ სიაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში დელეგატობის კანდიდატები განსაზღვრული ჰყავდა მხოლოდ საარჩევნო სუბიექტს, „ქართული ოცნება“-ს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 274 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

<u>პარტიული სიები</u>

პარტიული სია წარადგინა 11-მა საარჩევნო სუბიექტმა:

არჩევნებში პარტიების რიგითი №	**პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება**
№6	„ევროპელი დემოკრატები“
№8	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი’“
№21	ტრიბუნა
№36	„გირჩი“
№25	„გახარია საქართველოსთვის“

№20	თავისუფალი საქართველო
№41	ქართული ოცნება
№9	„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“
№4	კოალიცია ცვლილებებისთვის - გვარამია მელია გირჩი დროა
№5	„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“
№12	„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ შემოწმდა 11 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია და თანდართული მასალები რის შედეგადაც მომზადდა 13 დასკვნა და 1 (ერთი) ხარვეზის წერილი. საბოლოოდ 11-ვე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია გატარდა საარჩევნო რეგისტრაციაში.

საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები.

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უსკოს აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფდა საქმისწარმოების ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის რეესტრს. ყველა სახის დოკუმენტის რეგისტრაცია ხდებოდა eDocument - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტში სულ შემოვიდა 200-მდე სხვადასხვა სახის კორესპონდენცია.

2024 წლის არჩევნებისათვის შეიქმნა სპეციალური ელექტრონული პორტალი სადაც იტვირთებოდა კომისიის სხდომის დღის წესრიგის და თანდართული მასალების პროექტები, პორტალზე ატვირთული მასალები ავტომატურად ისახებოდა კომისიის წევრთა პორტალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უსკოს 17 კომისიის სხდომის მომზადება, გაფორმდა ამავე რაოდენობის სხდომის ოქმი, უმაღლესი საბჭოს არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა უსკოს 34 განკარგულება, მომზადდა და გამოქვეყნების მიზნით საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გაიგზავნა უსკოს 7 დადგენილება, საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი პროექტით მომზადდა უსკოს თავმჯდომარის 46 განკარგულება.

საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება

2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება მუშაობდა უსკოს რეგლამენტის, დადგენილებების და განკარგულებების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების პარალელურად გაიმართა, შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია აქტიურად ურთიერთობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთდროულად ტარდება საერთო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ოლქებისა და უბნების მეშვეობით. კანონმდებლობის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საზღვრები: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის და ხულოს მუნიციპალიტეტები.

საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად საარჩევნო უბნების შექმნაში. საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილების მიერ, ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად, შეგროვდა არჩევნების ჩასატარებლად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და საჭირო დაფინანსების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ: დაზუსტდა და აღირიცხა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ინვენტარის რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა. საოლქო საარჩევნო კომისიების მდგომარეობა და არჩევნებისათვის მზადყოფნა. დაზუსტდა საარჩევნო უბნების საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები. შეგროვდა საოლქო საარჩევნო კომისიებში კვალიფიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია, საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეულ/დანიშნულ წევრთა რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა საუბნო საარჩევნო კომისიების კომპიუტერული ბაზა (უბნის მისამართი, ტელეფონი, კომისიის შემადგენლობა დამნიშნავი სუბიექტის მითითებით). მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიებისგან ყოველდღიური ინფორმაციის მიღება უბნების შექმნის, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის, პირველი სხდომების გამართვის, კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის (ელექტრონული მოწყობილობების და ტრადიციული მეთოდის გამოყენებით) პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამართვა უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილ 6 საარჩევნო ოლქისა და 317 საარჩევნო უბნის მეშვეობით, მათ შორის N79 საარჩევნო ოლქში შეიქმნა ერთი სპეციალური უბანი ქ. ბათუმის სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში.

ამომრჩეველთა რაოდენობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგინა 317 119 ამომრჩეველი.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა იმ შენობების ჩამონათვალი, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოიყო მასობრივი საარჩევნო ღონისძიებებისა და სააგიტაციო შეხვედრების ჩასატარებლად. მოხდა საარჩევნო ოლქების ინფორმირება საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის შესახებ და სტამბაში ბეჭდვის პროცესის მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, შეიქმნა ბიულეტენების ბეჭდვაზე დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს.

დაიბეჭდა და ოლქებსა და უბნებს ასევე სუბიექტის წარმომადგენლებს გადაეცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი. საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვრა რაოდენობები და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ:

- საარჩევნო ბიულეტენები;
- კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები;
- პარტიული სიები;
- არჩევნების გამართვისათვის საჭირო ყველა სახის ინვენტარი და ტექნიკა მათ შორის ელექტრონული არჩევნების უზრუნველყოფისათვის საჭირო ელექტრონული მოწყობილობები (ვერიფიკაციის, ხმისმთვლელი აპარატები, პლანშეტები).

საარჩევნო ოლქებს გადაეცათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმა და სამართლებრივი აქტები, რომელიც ეხებოდა საარჩევნო ოლქსა და უბანს. გარდა ამისა, საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილების თანამშრომლები ასრულებდნენ ყოველდღიურ სამუშაოს – უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს შორის ინფორმაციის მიღება-ჩაბარებას. კენჭისყრის დღეს მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნისა და უბნებზე არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, 10:00, 12:00, 17:00 და 20:00 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს უსკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას, საოლქო საარჩევნო კომისიებიდან საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული ყველა სახის განცხადება/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების (განკარგულებების) გადმოგზავნას და მიღებისთანავე იურიდიულ და ადამიანური რესურსების დეპარტამენტისათვის გადაცემას.

უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 201 572 ამომრჩეველმა.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

არჩევნების დანიშვნის დღიდან, იურიდიული დეპარტამენტის მიერ, გარდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით განსაზღვრული ძირითადი საქმიანობისა შესრულებული

იქნა შემდეგი სამუშაოები: არჩევნებთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია ყველა დონის საარჩევნო კომისიებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ამომრჩევლებს. საარჩევნო კანონმდებლობითა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი დასკვნები და განმარტებები, რომლებიც დადგენილი წესით წარედგინა, როგორც უმაღლეს საარჩევნო კომისიას, ასევე კომისიის ხელმძღვანელ პირებს. იურიდიული დეპარტამენტის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად, შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე მიღებული იქნა უსკოს 6 დადგენილება, 32 განკარგულება, უსკოს თავმჯდომარის 45 განკარგულება და უსკოს მდივნის 20 განკარგულება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული იქნა 7 სადამკვირვებლო ორგანიზაცია:

1. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია“;
2. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“;
3. „ქალის როლი საზოგადოებისათვის“;
4. „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო“;
5. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“;
6. მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „პროფესიონალი“;
7. „ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“.

საარჩევნო ადმინისტრაციებმა, განიხილეს 200-ზე მეტი საჩივარი, როგორც საარჩევნო უბნებში ასევე საარჩევნო ოლქებში. საოლქო საარჩევნო კომისიებმა განიხილეს დაახლოებით 185 საჩივარი. საუბნო და საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ყველა საჩივარი და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი იქნა 1 საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილობის თაობაზე, საჩივრის ავტორის საარჩევნო სუბიექტის ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის საჩივარი ხმის ფარულობის დარღვევისა და ამომრჩეველზე ზემოქმედების შესახებ უსკოს მიერ არ იქნა გაზიარებული და საჩივარი არ დაკმაყოფილდა. რაც მხარის მიერ გასაჩივრებული იქნა სასამართლოში, (როგორც ბათუმის საქალაქო ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში) სასამართლომ ძალაში დატოვა უსკოს განკარგულება საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ. უსკოში სხვა სახის განცხადება/საჩივარი არ დაფიქსირებულა. საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების გამო სასამართლოში შეტანილი იქნა 18 სარჩელი, წარდგენილი სარჩელები განხილული იქნა როგორც საქალაქო ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ და არცერთი არ იქნა დაკმაყოფილებული უსაფუძვლობის გამო.

საჩივრებსა და სარჩელებში მითითებული ძირითადი დარღვევები:
ფარულობა -23;
მარკირება - 19;
გადასატანი ყუთი - 9;
დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა - 14;
ერთზე მეტი ბიულეტენის გადაცემა - 3;
შემაჯამებელ ოქმების შედგენასთან დაკავშირებით - 36;
კენჭისყრის პროცედურები ხმის დათვლის პროცედურები - 90.

მოთხოვნა:
დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება - 138;
ბათილობა (მათ შორის გადასატანი ყუთის ბათილობა) - 38;
გადათვლა - 28.

მიღებული გადაწყვეტილება:
არ დაკმაყოფილდა - 135;
განუხილველი - 16;
დაკმაყოფილდა - 4;
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 30.

სასამართლო წარმოება
პირველ ინსტანციაში 18 სარჩელი.

მოთხოვნა:
შემაჯამებელი ოქმების შედეგების ბათილობა;
დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება.

დარღვევა:
ფარულობის დარღვევა;
ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა;
მარკირების წესის დარღვევა;
ფოტო ვიდეო გადაღება.

მიღებული გადაწყვეტილება
არ დაკმაყოფილდა არც ერთი სარჩელი
სარჩელების გაერთიანებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა 7 (ბათუმის საქალაქო 4, ხელვაჩაურის საქალაქო 3) გადაწყვეტილება.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში, უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში მუშაობის დაწყების სურვილი გამოთქვა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში განცხადებით მომართა 25-მა მოქალაქემ, რომლებთანაც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი საარჩევნო კომისიაში, სხვადასხვა დეპარტამენტებში და განყოფილებებში გადანაწილდნენ.

ვინაიდან, 2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად პირველად იქნა გამოყენებული ელექტრონული ტექნოლოგიები, მოწვეული იქნენ შესაბამის კვალიფიკაციის მქონე ტრენერები, რომლებთანაც

გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დატრენინგების მიზნით.

სარჩევნო პერიოდში საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას დაემატა უსკოს 9 წევრი წარმოდგენილი (დანიშნული) 9 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ, ესენია:

1. მპგ „ქართული ოცნება“;
2. მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
3. მპგ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;
4. მპგ „ახალი პოლიტიკური ცენტრი“;
5. მპგ „ევროპელი სოციალისტები“;
6. მპგ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
7. მპგ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
8. მპგ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;
9. მპგ „ძლიერი საქართველო, ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“.

ამგვარად, 2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად უმაღლესი საარჩევნო კომისია შედგა თავმჯდომარისა და 16 წევრისაგან, მათ შორის 4 ქალი და 13 მამაკაცი.

ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა 2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, შეიმუშავა სარეკლამო კონცეფცია და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა **6 საინფორმაციო რილსი** (Reels) სურდო თარგმანით - „პარტიათა რეგისტრაციის ვადა და წესი“, „პრესის აკრედიტაციის ვადა და წესი“, „დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესი“, „ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება“, „გადასატანი საარჩევნო ყუთის საჭიროების შესახებ“ და „ პარტიული სიის რეგისტრაციის ვადა“, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში გადიოდა სოციალური მედიის (ფეისბუკის, ინსტაგრამისა და ტიკტოკის) საშუალებით. განთავსების შედეგად ვიდეორგოლებზე წვდომა ჰქონდა - 50 ათასზე მეტ მოქალაქეს;
- **მომზადდა 5 სატელევიზიო ვიდეორგოლი** („უსკოს ცხელი ხაზი“, „ბიულეტენის ნიმუში 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის“, „ბიულეტენის შევსების წესი“, „უსკოს საიმიჯო კლიპი“ „არჩევნები აჭარაში“ საინფორმაციო ვიდეორგოლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომლებიც გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ტელეკომპანია „TV-

25“-ის, ბათუმი ტვ-ს, ევრონიუსისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ საშუალებით. რგოლებს თან ახლდა სურდო თარგმანი. ზემო აღნიშნული ვიდეორგოლები განთავსდა სოციალურ ქსელებში.

- უსკოს საინფორმაციო ბანერები განთავსდა ონლაინ პლატფორმებზე: „ბათუმელები“, „ნეტგაზეთი“, „აჭარა თაიმსი“;
- უსკოს საინფორმაციო აუდიო რგოლები განთავსდა: რადიო „აჭარა“, რადიო „ბათუმი“;
- დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაერები, ბიულეტენის ნიმუშები;
- დაიბეჭდა კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ;
- მოხდა უსკოს რებრენდიგი, შეიცვალა ორგანიზაციის ლოგო და დაიბეჭდა ახალი ბრენდირებული ნივთები (მაისურები, კალმები, ბლოკნოტები, ჩანთები), მოეწყო სხდომათა დარბაზი და ბრიფინგებისთვის განკუთვნილი კუთხე, განახლდა ადმინისტრაციაში არსებული სახელმწიფო სიმბოლიკა (გერბი, დროშები);
- აჭარის რეგიონში ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაგეგმა საინფორმაციო აქციის კვირეული. **დაიბეჭდა 30 ათასი ბიულეტენის ნიმუში** და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ბიულეტენის შევსების წესის შესახებ. შეხვედრები გაიმართა შემდეგ ორგანიზაციებში: აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო; აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო; აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ქალაქ ბათუმის მერია; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; აჭარის საარქივო სამმართველო; აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი; ბათუმის აგრარულ ბაზარი; ბათუმის პლაზის სავაჭრო ცენტრი; გრანდ მოლი; ბათუმის ხელოვნების მუზეუმი - სსიპ „აჭარის მუზეუმი“ ბათუმის იუსტიციის სახლი.

წინასაარჩევნო პერიოდში, დეპარტამენტის ჩართულობით, დაიგეგმა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შეხვედრები საელჩოების, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან:

- უსკოს თავმჯდომარე შეხვდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2024 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის პოლიტიკური კამპანიის ანალიტიკოსს, **რობერტ ბისტრიცკის;**
- ნიდერლანდების სამეფოს ელჩს საქართველოში, **მელინე არაკელიანს;**
- საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გრძელვადიან დამკვირვებლებს, **დანიელ ქერექეშსა და ანა ზანეჩთს;**
- ასევე, შეხვედრა გაიმართა **ეუთო/ოდირის** (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიან დამკვირვებლებთან, **გრეგუარ დურუზსა და სარაია მარტინეზთან.**

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უზრუნველყო უსკოს ვებგვერდისა და სოც. მედია გვერდების (ფეისბუკი, ინსტაგრამი, ტიკ-

ტოკი) შექმნა და მართვა; (www.sec.ge, https://www.facebook.com/ajarausko, https://www.instagram.com/sec_ge2024/; https://www.tiktok.com/@sec.ge2024) - წინასაარჩევნო პერიოდში, ამომრჩევლისა და დაინტერესებული პირებისათვის სასურველი ინფორმაციის მოძიების გამარტივების მიზნით, განხორციელდა უსკოს ახალი ვებგვერდის დიზაინისა (ახალი ლოგო) და შინაარსის განახლება, ასევე, საარჩევნო პერიოდის ყველა სიახლე და საინფორმაციო მასალა ქვეყნდებოდა უსკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და უსკოს სოციალური მედიის გვერდებზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ გაშუქდა უსკოს სხდომები. განყოფილებამ უზრუნველყო სხდომების დანიშვნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მედია საშუალებებისთვის, პრეს-რელიზების დამზადება/გავრცელება, ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის. ასევე, სხვადასხვა სახის მოწმობების დამზადება არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის.

მედიის აკრედიტაცია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **2024 წლის 26 ოქტომბრის** არჩევნებისთვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აკრედიტაცია გაიარა მედია საშუალებების წარმომადგენლებმა. ჯამში აკრედიტებული იყო შემდეგი **10 მედია საშუალების 65** ჟურნალისტი და ოპერატორი:

1. შპს „აჭარა თაიმსი“;
2. ტელეკომპანია „ფორმულა“;
3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“ – თანამშრომლები;
4. შპს „მთავარი არხი“;
5. შპს „გაზეთი ბათუმელები“;
6. შპს „ტვ 25“ - თანამშრომელი;
7. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“;
8. შპს „ტელეიმედი“;
9. შპს “გაზეთი აჭარა და ადჟარია“;
10. „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების საქართველოს წარმომადგენლობა“.

მედია მონიტორინგი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის აწარმოებდა მედია მონიტორინგს და უსკოს აწვდიდა საარჩევნო თემატიკის შესახებ ტელევიზიით, პრესით, რადიოთი და ინტერნეტ საიტებით გასული სიუჟეტებისა და სტატიების შესახებ მასალებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ორგანიზებით უსკოს თავმჯდომარე და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში.

არჩევნების დღე:

ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა არჩევნების დღის საინფორმაციო ბრიფინგების განრიგი. კენჭისყრის დღეს მოეწყო **7 საინფორმაციო ბრიფინგი** - 08:30სთ; 10:30სთ; 12:30 სთ; 15:30სთ; 17:30სთ; 20:30 სთ და 22:00 საათზე. უსკოს თავმჯდომარე და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა საზოგადოებას მთელი დღის განმავლობაში. არჩევნების დღეს 22:00 საათზე უსკოს თავმჯდომარეს ჰქონდა დღის შემაჯამებელი ბრიფინგი, სადაც საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის და უბანზე არსებული საჩივრების შესახებ. ბრიფინგის პარალელურად მედია საშუალებებს შესაძლებლობა ჰქონდათ თვალი ედევნებინათ უსკოს საიტზე ატვირთული საარჩევნო უბნებიდან შემოსული შემაჯამებელი ოქმებისთვის. კენჭისყრის მეორე დღეს უსკოში გაიმართა **საინფორმაციო ბრიფინგი,** სადაც მედიას მიეწოდა ინფორმაცია **საბოლოო პირველადი შედეგების** შესახებ ვებ-გვერდზე ატვირთული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით. უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა არჩევნების შედეგების შესახებ საბოლოო წინასწარი მონაცემების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ადგილობრივი და რეგიონული მედია საშუალებების პირდაპირი ეთერით. (აჭარა ტვ, ტვ25; საზოგადოებრივი მაუწყებელი- პირველი არხი; იმედი; რუსთავი 2; ტვ პირველი; მთავარი არხი; ფორმულა; რადიო თავისუფლება; პალიტრა ტვ; აჭარა თაიმსი; გაზეთი აჭარა; ბათუმელები და ნეტგაზეთი; რადიო თავისუფლება; რადიო აჭარა,).

ინსტიტუციური განვითარების განყოფილება

ინსტიტუციური განვითარების განყოფილებამ **არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის** უზრუნველყო შემდეგი შეხვედრების ჩატარება:

- **რეგიონული მედია საშუალებების წარმომადგენლებისათვის** ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესების გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“ თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაზე ექსპერტებმა წინასაარჩევნო კამპანიის დეზინფორმაციული გამოწვევების, მიუკერძოებელი საარჩევნო პროცესების ხელშეწყობის, საარჩევნო კომუნიკაციისა და საარჩევნო კამპანიების მედია გაშუქების შესახებ ისაუბრეს.

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა, საქართველოს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენელთან ერთად და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით საინფორმაციო შეხვედრა გამართეს **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთათვის,** შეხვედრის თემა იყო ტექნოლოგიური სიახლეები და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა.

- **პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის** ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე „საარჩევნო დავების განხილვა“. ღონისძიება უმაღლესი საარჩევნო კომისიის და ევროპის საბჭოს პროექტ „საარჩევნო პრაქტიკისა და

პროცესების გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. შეხვედრაზე საკანონმდებლო ცვლილებებზე, საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებულ სიახლეებსა და გამოწვევებზე, ასევე ელექტრონული საშუალებებით ხმის მიცემის სამართლებრივ, ოპერაციულ და ტექნიკურ სტანდარტებზე ისაუბრეს.

- აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან პარტნიორობით, არჩევნებზე რეგისტრირებული **პოლიტიკური პარტიების ქალ წარმომადგენლებთან** ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა. სესიაზე საარჩევნო პროცესებში ქალთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების მექანიზმების გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამოცხადებისთანავე საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტმა უზრუნველყო არჩევნების ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები არჩევნების ფინანსური საკითხების უზრუნველყოფის მიზნით.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების (0202 - არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა) საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 729 627 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურების ხარჯი - 2 263 854 ლარი;
საქონელი და მომსახურების ხარჯი - 463 243 ლარი;
არაფინანსური აქტივების ხარჯი - 1830 ლარი;
სხვა ხარჯი - 700

არჩევნების ღონისძიების სრულყოფისათვის გაფორმებული იქნა 62 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით.

გაწეულ ხარჯებს შორის გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარჯი, როგორიც იყო: უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატისათვის შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა - 1830 ლარის; საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება, რომლის საერთო თანხამ შეადგინა - 1316710 ლარი; ბიულეტენის ქაღალდის შეძენა და ბეჭდვამ, რომლის საერთო ხარჯმა შეადგინა - 57630 ასევე, დამზადდა და შეძენილი იქნა - 22000 ლარის 10 საინფორმაციო ვიდეო რგოლი, საინფორმაციო ვიდეო რგოლების გავრცელების მომსახურებაზე კი გაწეული იქნა - 13840 ლარის ხარჯი. გაწეული იქნა სსიპ დაცვის პოლიციის მომსახურება 12133 ლარზე და

12752 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი, ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი 22000 ლარი, კავშირგაბმულობის და სხვა ოფისის ხარჯი შეადგენს 33022 ლარი; საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ხარჯმა შეადგინა - 8520 ლარი;

საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებისათვის ყველა სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

ელექტრონული და საინფორმაციო ტექნოლოგიები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების მიერ შეიქმნა კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და მოდიფიცირება.

მოამზადა საარჩევნო დოკუმენტაციის სხვადასხვა ფორმების და ნიმუშების კომპიუტერული დამუშავება.

2024 წლის 26 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განახლდა და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალეობას და საჯაროობას.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებისთანავე, ხდებოდა მათი სკანირება და უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთვა, პარალელურად კი მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამის მეშვეობით მონაცემების დამუშავება და უსკოს ვებ-გვერდის შედეგების ველში მათი განთავსება.

უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთული კენჭისყრის შედეგები ავტომატურ რეჟიმში პროექტორის მეშვეობით გადაიცემოდა ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ადმინისტრაციულ შენობაში ხმების წინასწარი დათვლის პროცესისათვის უშუალოდ ედევნებინა თვალყური ან გასცნობოდა უსკოს ვებ-გვერდის მეშვეობით.

საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების ოქმების მონაცემების შეტანა ხდებოდა უწყვეტ რეჟიმში მის დასრულებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ამგვარმა ორგანიზაციამ, უზრუნველყო არჩევნების წინასწარი შედეგების გაცილებით უფრო სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტური დამუშავება.

უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში 317 119 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 201 572 ამომრჩეველმა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა:

№	პარტიის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
4	კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა	16 115	8.4	1
5	„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“	27 369	14.26	4
6	„ევროპელი დემოკრატები“	1 004	0.52	
8	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	2 538	1.32	
9	„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“	12 118	6.32	1
12	„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“	714	0.37	
20	თავისუფალი საქართველო	985	0.51	
21	ტრიბუნა	452	0.24	
25	„გახარია საქართველოსთვის“	16 555	8.63	2
36	„გირჩი“	3 805	1.98	
41	ქართული ოცნება	110 232	57.45	13

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეული იქნა უმაღლესი საბჭოს 21 წევრი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეულნი არიან:

41 ქართული ოცნება

1. დავით გაბაიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
2. გოგი ფუტკარაძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
3. ტიტე არუშიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
4. რამაზ ჯინჭარაძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
5. ცოტნე ანანიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
6. მინდია დიასამიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
7. ვახტანგ ბერიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
8. მამუკა თურმანიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
9. ფრიდონ ფუტკარაძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
10. დავით ბაციკაძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)

11. მარინე გვიანიძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
12. დავით თედორაძე (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)
13. ფატი ხალვაში (მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)

5 „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“

1. ელგუჯა ბაგრატიონი (მპგ „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“)
2. მიშა ბოლქვაძე (მპგ „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“)
3. ედიშერ ჟღენტი (მპგ „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“)
4. ლია ჯაყელი (მპგ „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“)

25 „გახარია საქართველოსთვის“

1. გოჩა გუგუნავა („გახარია საქართველოსთვის“)
2. ირაკლი ბოლქვაძე („გახარია საქართველოსთვის“)

4 კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა

1. მირდატ ქამადაძე (მპგ „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“)

9 „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“

1. გენადი თებიძე („ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“)